INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება

(ვალდებულება 3.1.)

(კონცეფცია)

მარტი, 2016 წ.

ზოგადი ნაწილი

2015 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა საქართველოს ინტერ-ფრაქციული ჯგუფის და სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016).

სამოქმედო გეგმა 18 ვალდებულებისგან შედგება და პასუხობს ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership, OGP) ოთხ ძირითად გამოწვევას: მოქალაქეთა ჩართულობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინოვაცია და ტექნოლოგიები, ანგარიშვალდებულება.

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსებას (3.1. ვალდებულება), რაც პასუხობს OGP-ის გამოწვევას ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის თვალსაზრისით.

სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა აიღო ვალდებულება 2016 წლის ბოლომდე პარლამენტის ვებგვერდზე საკანონმდებლო დოკუმენტები განათავსოს ადვილად დასამუშავებელ ფორმატში. წინამდებარე დოკუმენტი არის კონცეფცია, სადაც ასახულია დოკუმენტის ადვილად დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნების უპირატესობები.

ვალდებულების საბოლოო ამოცანაა 2016 წლის ბოლოსთვის პარლამენტის ვებგვერდზე PDF (Portable Document Format) ფორმატში გამოქვეყნებული დოკუმენტაციის მინიმუმამდე დაყვანა - კანონპროექტების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების, დადგენილებების, პროექტებისა და რეზოლუციების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში გამოქვეყნება.

დღეის მდგომარეობით, პარლამენტის ვებგვერდზე ქვეყნდება საპარლამენტო დოკუმენტაციის მხოლოდ ნაწილი, ხოლო გასაჯაროებული დოკუმენტების უმეტესობა (მაგალითად, პარლამენტის დადგენილებები, რეზოლუციები, განცხადებები, მიმართვები, კანონპროექტები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია) გამოქვეყნებულია PDF ფორმატში, რაც შეუძლებელს ხდის დოკუმენტში შემავალი მონაცემების დამუშავებასა და საძიებო სისტემებში ძებნას.

აუცილებელია პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტაციის როგორც ღია, ისე ადვილად დასამუშავებელ ფორმატში (მაგალითად, HTML/MS Word) გამოქვეყნება მათი შემდგომი გამოყენების მიზნით.

აღწერილობა

მრავალი ორგანიზაცია აქვეყნებს ინფორმაციას PDF ფორმატში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმატი შესაძლოა სხვა არსებულ ფორმატებთან შედარებით ნაკლებად ეფექტიანი და გამოსადეგი იყოს, როგორც საკუთრივ გამომქვეყნებლისთვის, ისე მკითხველისთვის.

ინტერნეტში განთავსებული PDF-ის დოკუმენტი, ფაქტობრივად, საბოლოო ამობეჭდილი დოკუმენტის იდენტურია. ამის გამო ეს ფორმატი საუკეთესოდ არის მიჩნეული ისეთი ტიპის

დოკუმენტებისთვის, რომლის გადმოწერა და/ან ამობეჭდვა სურს მომხმარებელს. თუმცა, ინტერნეტის საძიებო სისტემებიდან PDF ფორმატით წარმოდგენილი ინფორმაციის მოძიება ძალიან რთულია, რადგან ის არ არის SEO-სთან (Search Engine Optimization) ისეთივე თავსებადი ფორმატი, როგორც, მაგალითად - HTML. ეს კი მნიშვნელოვნად აფერხებს დაინტერესებული პირის მიერ ინფორმაციის მოძიებას. ამასთანავე, PDF-ის დოკუმენტის შინაარსის, მასში განთავსებული სურათების, გრაფების გაზიარება არ არის პრაქტიკული და მომხმარებელი, ფაქტობრივად, იძულებულია მთელი დოკუმენტი გააზიაროს. ამ შემთხვევაში კი, შესაძლოა PDF-ის დოკუმენტის დიდი მოცულობა აღმოჩნდეს მომხმარებლისთვის პრობლემა.

PDF-ის ფორმატში დოკუმენტების ნახვისთვის აუცილებელია პროგრამა Adobe Reader-ის მხარდაჭერა, ხოლო დოკუმენტში ცვლილებების შესატანად, მომხმარებელს უმეტეს შემთხვევაში Adobe-ის ფასიანი პროგრამა - Adobe Acrobat სჭირდება.

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ PDF-ის ინტერნეტიდან გადმოწერის შემდეგ, გადმოწერილ დოკუმენტში ვეღარ აისახება ცვლილებები და ვეღარ დაემატება სიახლეები. შესაბამისად, ეს ფორმატი მისი შემდგომი დამუშავების თვალსაზრისით არაპრაქტიკული და რიგითი მომხმარებლისთვის მოუხერხებელია.

სახელმწიფო დაწესებულებები ხშირად ავრცელებენ ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების ასლებს დასკანერებული ფოტოს სახით PDF-ის ფორმატში. ამგვარი დოკუმენტების საძიებო სისტემებით პოვნა შეუძლებელია. შესაბამისად, ამ ტიპის დოკუმენტების გამოქვეყნებისთვის აუცილებელია უფრო თავსებადი ფორმატის გამოყენება, რომელიც მოქალაქეებს დოკუმენტზე წვდომას გაუადვილებს. HTML (ან სხვა ღია სტანდარტი) არის ყველაზე ეფექტური გზა ინტერნეტ სივრცეში როგორც ტექსტური, ისე არა-ტექსტური ინფორმაციის გავრცელებისთვის, რადგან საძიებო სისტემებს HTML „ტაგების“ (Tags) მიხედვით შეუძლიათ მიხვდნენ, თუ რა თემაზეა კონკრეტული გრაფიკული ფაილი ან სხვა კონტექსტური ელემენტი.

ასევე, PDF-ის ფორმატი პრობლემატურია ციფრულ რეჟიმში კითხვისას, რამდენადაც, ვებგვერდისგან განსხვავებით, PDF ფაილი არ არის გადამუშავებადი პროდუქტი, რთულია ტექნიკურ მოწყობილობებზე ამ ფორმატში კითხვა და დოკუმენტში ნავიგაცია. თუმცა, PDF ხელსაყრელია საინფორმაციო ბიულეტინის შექმნისას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ბეჭდურ ვერსიაზეა გამიზნული.

PDF and HTML – the pros

PDF	HTML
Consistent layout	Customized to device (incl. mobile)
Offline accessibility	Enriched and interactive content
Easy to store and organize	Always latest version
Similar to print version	Up-to-date and linked context
Easy to print	Linked with data repositories
Displays images well	Easy to search
Easy to share by email (when small)	Easy to share by link (also when large)
Easy to annotate	Fast access from lists
	Includes supplementary material

მეორეს მხრივ, ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმატი – HTML (HyperText Markup Language) გამომქვეყნებლისა და ონლაინ მკითხველისთვის ძალიან პრაქტიკული შეიძლება აღმოჩნდეს.

HTML უფრო ფართოდ ხელმისაწვდომი ფორმატია ვიდრე PDF, რამდენადაც HTML დოკუმენტის გახსნა მხოლოდ ვებ-ბრაუზერის ფანჯარას საჭიროებს და არა დამატებით პროგრამას. რაც მთავარია, HTML-ში განთავსებული ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის საძიებო სისტემებში PDF-ზე ბევრად უფრო მარტივია.

ასევე, HTML საშუალებას იძლევა, ტექსტში აღნიშნული იყოს ე.წ. ჰიპერტექსტები. HTML დოკუმენტის ვიზუალურ მხარესა თუ ნაბეჭდის სტილს გამომქვეყნებელი განსაზღვრავს, რადგან HTML-ს PDF-ისგან განსხვავებით არ აქვს წინასწარ განსაზღვრული, ფორმატში ჩადებული ვიზუალური ელემენტები.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ PDF-ის ფორმატი უფრო ხელსაყრელია ბეჭდვისთვის, ხოლო HTML უფრო პრაქტიკულ, ადვილად დამუშავებად და ადვილად საძიებო ფორმატს წარმოადგენს ინტერნეტ-სივრცეში.

საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის 3.1 ქვეთავში მითითებული ვალდებულება – პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დამუშავებად ფორმატში განთავსებაზე, 2016 წლის ივლისამდე უნდა შესრულდეს. პარლამენტის ვებგვერდზე PDF ფორმატში გამოქვეყნებული დოკუმენტაციის მინიმუმამდე დაყვანა გაამარტივებს მოქალაქეთა წვდომას დოკუმენტაციაზე და ხელს შეუწყობს საპარლამენტო ინფორმაციის უკეთ აღქმასა და შემდგომ გამოყენებას.

„საპარლამენტთაშორისო კავშირი“ (IPU) მიიჩნევს, რომ „კანონპროექტებისა და პარლამენტის სხვა დოკუმენტაციის შემუშავებისას უნდა გამოიყენებოდეს ღია დოკუმენტის სტანდარტები, როგორიცაა XML. საბოლოოდ კი ყველა დოკუმენტი, მონაცემი და ინფორმაცია უნდა იყოს

ხელმისაწვდომი ღია სტანდარტების საშუალებით“.[1] ამას გარდა, IPU მოუწოდებს ქვეყნებს საკუთარი პარლამენტის ვებგვერდზე განავითარონ ფაილების მაღალი სიჩქარით გადმოწერის შესაძლებლობა, რასაც პარლამენტის ღიაობის დეკლარაციაც[2] ითვალისწინებს.

ასევე, ,,საპარლამენტო ღიაობის საკითხები OGP-ის წევრ ქვეყნებში“ გზამკვლევის რეკომენდაციაა, რომ პარლამენტის ინფორმაცია განთავსდეს ისეთ ფორმატში, რომლის ელექტრონული გზით დამუშავება, ხელახლა გამოყენება და გამოქვეყნებაა შესაძლებელი.

<u>დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში გამოქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა</u>

<u>ევროპარლამენტი</u> დოკუმენტებს არა მხოლოდ PDF, არამედ MS Word ფაილის სახითაც აქვეყნებს.



[1] Guidelines for Parliamentary Websites, გვ. 14, http://www.ipu.org/PDF/publications/web-e.pdf
[2] Declaration on Parliamentary Openness, http://openingparliament.s3.amazonaws.com/docs/declaration/1.0/english.pdf

<u>იტალიის</u> სენატი დოკუმენტებს, ანგარიშებს, კანონპროექტებს PDF და HTML ფორმატებში აქვეყნებს.



<u>ავსტრალიის</u> რეგიონის ვიქტორიას პარლამენტის ვებგვერდზე კანონპროექტები MS Word-ის სახითაც არის მოცემული.

აშშ-ში კანონპროექტები PDF და XML ფორმატებში ქვეყნდება.



ჩილეში კანონპროექტები სხვადასხვა ფორმატში ქვეყნდება.



IDFI-ის რეკომენდაციები პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა იყოს შემდეგი სახის:

- არ უნდა იყოს დახურული („გენერირებული, დარენდერებული“) ტიპის ფაილი, რომელიც არ იკითხება ჩამოტვირთვის გარეშე, არ ინიშნება/არ კოპირდება;
- ინფორმაცია უნდა იყოს Unicode (Plain) Text და არა სხვა ტიპის კოდირების ან/და ფორმატის სახის.

  ღია ტექსტის უპირატესობებია:

  - ადგილზე ძებნის მარტივი (Ctrl+F) შესაძლებლობა;
  - ტექსტის კოპირების საშუალება;
  - ტექსტის რედაქტირება და საკუთარ მოთხოვნებზე მორგება;
  - საძიებო (ონლაინ თუ ლოკალურ) სისტემაში ხილვადობა;
  - ზომისა და რესურსის დაზოგვა/ჩატვირთვის ეფექტიანი წარმადობა (loading performance). მაგალითად: 9662 სიტყვისგან შემდგარი Lorem Ipsum ტექსტი სამ ყველაზე გავრცელებულ ფორმატში შემდეგი ზომისაა: plain txt - 65Kb (17Kb Zip); doc - 96Kb (21Kb Zip); pdf 137Kb (129Kb Zip). დიდი ზომის ფაილები განსაკუთრებით პრობლემურია ცუდი ხარისხის ინტერნეტის (რეგიონები, მობილური) მქონე მომხმარებლებისთვის.
  - გაფილტვრისა და Parse ოპერაციების სიმარტივე;
  - Plain Text არ არის ტიპიზირებული და შეზღუდული დოკუმენტი, ამრიგად, შესაძლებელია მისი ფონტის ზომის ცვლილება, რაც გამორიცხულია ინფორმაციის PDF სახით წარმოდგენის შემთხვევაში.

კანონპროექტები და მათთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაცია ამჟამად პარლამენტის ვებგვერდზე წარმოდგენილია მეტა-ინფორმაციისა და ცალკეული ფაილების სახით.

ინიციირებული ვარიანტი

ბიუროზე განხილვის თარიღი:	2016-02-15
ბიუროს ნომერი:	275
წამყვან კომიტეტზე საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი:	2016-02-15 - 2016-02-19
სხვა კომიტეტებზე საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი:	2016-02-15 - 2016-02-19
პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი:	2016-02-17 - 2016-02-19
წამყვანი კომიტეტი:	▪ იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
კომიტეტები რომელთა დასკვნაც სავალდებულოა:	▪ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ▪ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

მიმაგრებული დოკუმენტები

- 15/02/2016 (საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ)
- 15/02/2016 (საქართველოს მთავრობის წარდგინება)
- 15/02/2016 (ამონაწერი სხდომის ოქმიდან)
- 15/02/2016 (განკარგულება)
- 15/02/2016 (საქართველოს კანონის პროექტი)
- 15/02/2016 (განმარტებითი ბარათი)
- 15/02/2016 (იმ მუხლების მოქმედი რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება)

IDFI-ის მიაჩნია, რომ ასეთი არაცენტრალიზებული მოცემულობა არაეფექტიანია, რადგან ვებგვერდის სტუმარს დოკუმენტების გასაცნობად უწევს მათი ცალ-ცალკე გადმოწერა.

საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, უმჯობესია, თითოეული საკანონმდებლო აქტი (ან მისი პროექტი) წარმოდგენილი იყოს ერთ ცენტრალიზებულ გვერდად, სადაც თითოეული დანართი (იხილეთ ზედა სურათი - მიმაგრებული ფაილი) წარმოდგენილი იქნება ღილაკის სახით, რომლის მონიშვნის შემდეგაც გაიხსნება ახალი HTML გვერდი შესაბამისი შინაარსით (ან - დოკუმენტით).

- ეს დანართები უნდა შედგებოდეს მარტივი ტექსტის (Plain Text) მონაცემებით და არა PDF ან სხვა გენერირებული ფაილით;
- დოკუმენტის მთავარი დასათაურება (დოკუმენტის ტიპი) უნდა იყოს წარმოჩენილი დიდი ზომის (15) გამუქებული ტექსტით;

- საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტის მთავარ დასათაურებას უნდა მოყვებოდეს ასევე მუქი და დიდი ზომის ტექსტით დაწერილი თარიღი, ადგილმდებარეობა და დოკუმენტის არსობრივი სათაური;
- დოკუმენტის მუხლები უნდა იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული და თითო მუხლის აღმნიშვნელი ტექსტი, ასევე უნდა იყოს მუქი ფონტით დაწერილი;
- დოკუმენტის ფორმას უნდა ჰქონდეს თანდართული პროგრამული ფუნქციები: ძიება, PDF გენერირება, ამობეჭდვა, მთელ ეკრანზე გაშლა.

მაგალითად გამოდგება მაცნეს ვებგვერდის ნიმუში (matsne.gov.ge), სადაც დოკუმენტის ტექსტი პირდაპირ მეტა-ინფორმაციის ქვეშ არის მოთავსებული, ხოლო ფუნქციური ღილაკები მარჯვენა მხარესაა განლაგებული; უკეთესი ხილვადობისთვის სასურველია ტექსტის ფონის ფერი იყოს სადა და მონაცრისფრო (კოდი - #EAEAEA).



გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	
დოკუმენტის ნომერი	101
დოკუმენტის მიმღები	საქართველოს მთავრობა
მიღების თარიღი	22/01/2014
დოკუმენტის ტიპი	საქართველოს მთავრობის დადგენილება
გამოქვეყნების წყარო, თარიღი	ვებგვერდი, 24/01/2014
ძალაში შესვლის თარიღი	01/01/2014
სარეგისტრაციო კოდი	300160070.10.003.017720

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №101
2014 წლის 22 იანვარი

ქ. თბილისი

გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

IDFI-ს აზრით, შემდეგ სურათზე გამოსახული შესაძლო ფორმატი დააკმაყოფილებდა ყველა ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს:



ინიციირებული ვარიანტი

ბიუროზე განხილვის თარიღი:	2016-02-15	ბიუროს ნომერი:	275
წამყვან კომიტეტზე საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი:	2016-02-15 - 2016-02-19	სხვა კომიტეტებზე საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი:	2016-02-15 - 2016-02-19
პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი:	2016-02-17 - 2016-02-19	წამყვანი კომიტეტი:	▪ იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
კომიტეტები რომელთა დასკვნაც სავალდებულოა:	▪ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ▪ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი		

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება
ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

15/02/2016 საქართველოს მთავრობის წარდგინება
15/02/2016 ამონაწერი სხდომის ოქმიდან
15/02/2016 განკარგულება
15/02/2016 საქართველოს კანონის პროექტი
15/02/2016 განმარტებითი ბარათი
15/02/2016 იმ მუხლების მოქმედი რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

თითოეული ჩამოთვლილი პუნქტიდან ნებისმიერზე კურსორის დაჭერა უნდა ხსნიდეს შესაბამის გვერდს, სადაც იქნება დატანილი შესაბამისი მონაცემ(ებ)ი.

თითოეული გახსნილი გვერდი უნდა შედგებოდეს შესაბამისი მასალისგან (Content) და ფუნქციური ღილაკებისგან. მაგალითად:



განმარტებითი ბარათი

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს გვარის კანონიერად აღიარებას, რაც გულისხმობს პირის გვარისთვის ლეგიტიმური სტატუსის მინიჭებას იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის ამოქმედებამდე არანაკლებ 5 წლის განმავლობაში პირი პირადობის დამადასტურებელ ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტს ფლობდა გვარზე, რომელიც არ შეესაბამება მისი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებულ გვარს და, ამასთან, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებულ გვარზე დაბრუნება (პირადობის დამადასტურებელი ან სხვა დოკუმენტების მიღება) არათანაბარზომიერ ხარჯებსა და ძალისხმევასთან არის დაკავშირებული.